აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „$დ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$დ^1$) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;“.

2. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის საქმიანობის შესახებ წერილობით ანგარიშს;“.

3. 44-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომიტეტის თავმჯდომარე საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წერილობით ანგარიშს ყოველი წლის შედეგების მიხედვით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ანგარიშის განხილვის საკითხი უმაღლესი საბჭოს ბიუროს შეაქვს საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომის დღის წესრიგში.“.

4. 157-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრმა, კომიტეტის/უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მომდევნო წერილობითი ანგარიში წარადგინონ 2023 წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია კომიტეტის/უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.
2. 2024 წლიდან კომიტეტის/უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის შესახებ წერილობითი ანგარიშის წარდგენა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ბათუმი,

16 დეკემბერი 2021 წ.

N49-Iს